პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

სახელმძღვანელო რეკომენდაცია მონაცემთა ბასწორების, ბანახლებისა და შევსების უფლების შესახებ

სახელმძღვანელო რეკომენდაცია ემსახურება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა განმარტებას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას, ის არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ წარმოშობს დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს.

შინაარსი

შესავალი 5

1. მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლების ადგილი მონაცემთა სუბიექტის უფლებებს შორის 5

1.1. ნორმატიული საფუძვლები 5

1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიგნებები მონაცემთა სუბიექტის უფლებებს შორის არსებული კავშირის შესახებ 16

2. ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკა 19

2.1. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ განსაზღვრული უფლება 19

2.2. საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკის ანალიზი 19

ა) ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 19

ბ) გერმანიის (ჰესენის მიწის) პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 21

გ) ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 23

დ) ესტონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 25

ე) იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 27

ვ) მალტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 29

ზ) ნორვეგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 30

თ) საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 32

ი) საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 35

კ) უნგრეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 36

ლ) ფინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 36

მ) შვედეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 38

3. ზოგადი რეკომენდაციები.....41

გამოყენებული წყაროები 41

შესავალი

მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება მონაცემთა სუბიექტის მნიშვნელოვანი უფლებაა, რომლის შინაარსს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი აყალიბებს. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, მოითხოვოს მის შესახებ მცდარი/არაზუსტი მონაცემების დაუყოვნებლივ გასწორება. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს არასრული მონაცემების შევსება, მათ შორის, დამატებითი დოკუმენტის წარდგენის გზით.

წინამდებარე სახელმძღვანელო რეკომენდაცია მიზნად ისახავს მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლების არსისა და საკანონმდებლო მოთხოვნების პრაქტიკულ ახსნას მონაცემთა სუბიექტების, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის.

1. მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლების ადგილი მონაცემთა სუბიექტის უფლებებს შორის

1.1. ნორმატიული საფუძვლები

მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა, მიიღოს ყველა ზომა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის და საჭიროების შემთხვევაში, მათი დემონსტრირების მიზნით.

მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირზე, არამედ დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზე მასთან დაცულ/არსებულ მონაცემებთან მიმართებით.[1]

წინამდებარე უფლება გულისხმობს, რომ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.[2]

მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი) მონაცემები უნდა გასწორდეს, განახლდეს ან/და შეივსოს ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.[3]

თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტისგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან/და არასრულია, მან გონივრულ ვადაში უნდა გაასწოროს, განაახლოს ან/და შეავსოს მონაცემები და მონაცემთა გასწორებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ აცნობოს მონაცემთა სუბიექტს.[4]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინების ვალდებულება არ წარმოეშობა, თუ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება ტექნიკური შეცდომის გასწორებას/აღმოფხვრას უკავშირდება.[5]

---

[1] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023.

[2] იქვე, მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

[3] იქვე, მეორე პუნქტი.

[4] იქვე, მესამე პუნქტი.

[5] იქვე, მეოთხე პუნქტი.

თუ არსებობს ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის დადგენილ ვადაში მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შესრულებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ცვლილების განხორციელების შესახებ ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს მასთან პირველი კომუნიკაციის განხორციელებისთანავე.[6]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მონაცემთა ყველა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა განახლებისა და შევსების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო. აღნიშნული პირები შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ვალდებული არიან გონივრულ ვადაში გაასწორონ, განაახლონ ან/და შეავსონ მონაცემები.[7]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ვალდებულებაა, დაიცვან მონაცემთა სუბიექტის უფლებები:[8]

---

[6] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, მეხუთე პუნქტი.

[7] იქვე, მეექვსე პუნქტი.

[8] დამატებით იხ.: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, სახელმძღვანელო რეკომენდაციები მცირე და საშუალო ზომის მეწარმე სუბიექტებისათვის, 2024, <pdps.ge/ka> [29.06.2025]; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, სახელმძღვანელო რეკომენდაცია მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების შესახებ, 2025, <pdps.ge> [29.06.2025]; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა - თეორია და პრაქტიკა, 2024, <pdps.ge> [29.06.2025].

მონაცემთა სუბიექტის უფლების კატეგორია	საქართველოს კანონი	ევროკავშირის რეგულაცია	საპოლიციო დირექტივა
მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება	მე-13 მუხლი	მე-15 მუხლი	მე-14 და მე-15 მუხლები
მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება	მე-14 მუხლი	მე-12 მუხლი	მე-12 მუხლი
მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება	მე-15 მუხლი	მე-16 მუხლი	მე-16 მუხლის პირველი პუნქტი
მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება	მე-16 მუხლი	მე-17 და 21-ე მუხლები	მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი
მონაცემთა დაბლოკვის უფლება	მე-17 მუხლი	მე-18 მუხლი	მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი
მონაცემთა გადატანის (პორტირების) უფლება	მე-18 მუხლი	მე-20 მუხლი	[არ ითვალისწინებს]
ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებები	მე-19 მუხლი	22-ე მუხლი	მე-11 მუხლი

თანხმობის გამოხმობის უფლება	მე-20 მუხლი	მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი	[არ ითვალისწინებს]
გასაჩივრების უფლება	22-ე მუხლი	77-ე, 78-ე და 79-ე მუხლები	52-ე, 53-ე და 54-ე მუხლები

მონაცემთა სუბიექტის თითოეულ უფლებას გამოხატვის განსხვავებული ხასიათი და ფარგლები აქვს. უფლებები ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან და შესაძლოა მონაცემთა სუბიექტის მიერ რამდენიმე უფლება იყოს გაერთიანებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის წარდგენილ მოთხოვნაში. ამიტომ, თითოეული უფლების შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის მიერ წარდგენილი მოთხოვნა შესაძლებელია, რომ განსხვავებულ დროს, რესურსს და გამოკვლევას საჭიროებდეს.

საყურადღებოა, თუ რას გულისხმობს მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლების სისტემური მიმართება მონაცემთა სუბიექტის სხვა უფლებებთან:

- ***მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება***

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად, უსასყიდლოდ მიიღოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაცია.[9]

- ***მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება***

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და

[9] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, მე-13 მუხლი.

უსასყიდლოდ მიიღოს მათი ასლები. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესრულება, მათ შორის, განსაზღვროს საფასური, თუ ეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ან იგი მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირიდან გამომდინარეობს.[10]

- ***მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება***

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესრულება, თუმცა უფლება აქვს უარი განაცხადოთ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.[11]

- ***მონაცემთა დაბლოკვის უფლება***

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს; მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას; მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად; მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს

[10] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, მე-14 მუხლი. ასევე, იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, სახელმძღვანელო რეკომენდაცია მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების შესახებ, 2025, <pdps.ge> [29.06.2025].

[11] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, მე-16 მუხლი.

მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა; არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესრულება, თუმცა უფლება აქვს, უარი თქვას აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, როდესაც მონაცემთა დაბლოკვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას: კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით თქვენთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას; კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულებას ან თქვენთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას; მისი ან მესამე პირის ლეგიტიმურ ინტერესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის, განსაკუთრებით არასრულწლოვანის, უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას, აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნებს.[12]

- ***მონაცემთა გადატანის (პორტირების) უფლება***

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის მიერ მიწოდებული

[12] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, მე-17 მუხლი.

მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.[13]

- ***ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებები***

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება: ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას; აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად; გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.[14]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესრულება და უნდა მიიღოს სათანადო ზომები მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართვის, მონაცემთა სუბიექტისთვის მისი

---

[13] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, მე-18 მუხლი. ასევე, იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაცია მონაცემთა გადატანის უფლების შესახებ, 2024, <pdps.ge> [29.06.2025].

[14] იქვე, მე-19 მუხლი. ასევე, იხ.: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებებისა და პროფაილინგის შესახებ, 2024, <pdps.ge> [29.06.2025]; 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი, სახელმძღვანელო რეკომენდაცია ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისა და პროფაილინგის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიზნებისთვის, 2018, თარგმანი, <pdps.ge> [29.06.2025].

მოსაზრების გამოთქმის და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემის გზით.

- *თანხმობის გამოხმობის უფლება*

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე, გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს.[15]

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თანხმობა გამოიხმოს იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა. მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობამდე უფლება აქვს, თქვენგან მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

- *გასაჩივრების უფლება*

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს უფლებებისა და კანონით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.[16]

მონაცემთა დამუშავების პროცესი უნდა წარიმართოს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად, მიუხედავად იმისა, თუ რა მოცულობის, შინაარსისა და სირთულის იქნება მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა. მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობის ვალდებულება არ ვრცელდება კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებზე. მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტებთან კომუნიკაცია და მონაცემთა სუბიექტის უფლებების

[15] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, მე-20 მუხლი.
[16] იქვე, 22-ე მუხლი.

განხორციელების ხელშეწყობა. მაგალითად, ვებგვერდზე ელექტრონული ფორმის ინტეგრირებით, რომელიც მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობას მისცემს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაუკავშირდეს მარტივად.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უპასუხოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას იმავე ფორმით, როგორც ეს მონაცემთა სუბიექტმა წარმოადგინა ან იმ ფორმით, რომლითაც მონაცემთა სუბიექტმა მოითხოვა პასუხის მიღება. სასურველია, წერილობით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონული საშუალებით, ასევე, ზეპირი კონსულტაციით, მოთხოვნის და გარემოებების გათვალისწინებით.

მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნებზე საპასუხოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს 10 სამუშაო დღის ვადას, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, შემდეგი უფლებების განხორციელებისას მიღებულ მოთხოვნათა საპასუხოდ:

- მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;
- მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება;
- მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;
- თანხმობის გამოხმობის უფლება.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მონაცემთა დაბლოკვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ან მონაცემთა დაბლოკვაზე უარის თქმის საფუძვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღისა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20, 24-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელება უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსასყიდლოდ, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გამონაკლისებისა. მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნის არაგონივრული სიხშირით წარდგენის შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მის შესრულებაზე, რის შესახებაც ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მონაცემთა სუბიექტს და განუმარტოს გასაჩივრების უფლების შესახებ.[17]

ამდენად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან არასრული მონაცემების გასწორება, განახლება და შევსება. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესრულება და მონაცემთა ყველა მიმღებს, აგრეთვე, ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც გადაეცათ მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა განახლებისა და შევსების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო. ამ უფლების განხორციელება და მისი მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სწორედ ეს უფლება უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტისთვის საკუთარი მონაცემების გასწორების, განახლებისა და შევსების შესაძლებლობას.

[17] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, 21-ე მუხლი.

1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიგნებები მონაცემთა სუბიექტის უფლებებს შორის არსებული კავშირის შესახებ

ინფორმაციის მიღების უფლება უშუალოდ მიემართება მონაცემთა სუბიექტის ისეთი მნიშვნელოვანი უფლებების რეალიზაციას, როგორებიცაა: მონაცემთა გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება, თანხმობის უკან გამოთხოვა თუ გასაჩივრება.[18] მონაცემთა სუბიექტებისთვის საკუთარი მონაცემების შემცველი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულყოფილად მიწოდება; მონაცემების გასწორებისა და განადგურების მოთხოვნაზე საპასუხოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების/პოზიციის მონაცემთა სუბიექტებისთვის მიწოდება; რიგ შემთხვევებში კი საჯარო სექტორს მიკუთვნებულ პირებს ინფორმირების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილების წინაპირობებისა და სამართლებრივი საფუძვლების მონაცემთა სუბიექტისთვის განმარტება, 2024 წლის საანგარიშო პერიოდში დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის გასათვალისწინებელ საკითხად რჩებოდა.[19]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მოქალაქის განცხადების საფუძველზე შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში, დადგინდა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაარღვია მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესი, რადგან არ უზრუნველყო მონაცემთა სუბიექტის ვინაობის დადგენასთან დაკავშირებული ხარვეზის გასწორება და პირის იდენტიფიცირება.[20] ასევე, განიმარტა, რომ კამერების არსებობა, როდესაც არ ხდება ვიდეომონიტორინგი/ვიდეოჩაწერა და მონაცემების ამ გზით დამუშავება, იწვევს მონაცემთა სუბიექტის ქცევის თავისუფლების შეზღუდვას. უქმნის მას მცდარ წარმოდგენასა და მუდმივ განცდას, რომ იგი

[18] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში, 2025, 91.
[19] იქვე, 49.
[20] იქვე, 91.

ექვემდებარება ვიდეომონიტორინგს. ამის გამო იგი ვალდებულია, სხვაგვარად აკონტროლოს თავისი ქცევა. დამუშავების ცრუ მოლოდინებით შესაძლოა, ხელი შეეშალოს მონაცემთა სუბიექტის უფლებების, მათ შორის – მონაცემთა გასწორების, განახლების, დაბლოკვისა თუ კანონმდებლობით გარანტირებული სხვა უფლებების რეალიზებას.[21]

აღნიშნული საკითხი, ასევე, პრობლემური იყო 2023 წლის საანგარიშო პერიოდშიც. სამსახურის მიერ აღინიშნა, რომ საჯარო სექტორში გამოვლენილი შემთხვევებიდან მაღალია მონაცემების დამუშავების გამჭვირვალობის, ფიზიკური პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომის მიმართულებით დადგენილი დარღვევების რაოდენობა. ხსენებული გარემოება, უმეტესად, პერსონალური მონაცემების თაობაზე ინფორმაციით/მასალებით დაინტერესებული პირების მოთხოვნების ნაკლები პრიორიტეტულობით არის გამოწვეული, ასევე, საჯარო მოსამსახურეების მიერ იმ საკანონმდებლო ჩარჩოს არცოდნით, რომელიც ფიზიკური პირებისთვის თავიანთ მონაცემებზე, მათ შემცველ შესაბამის მასალებზე წვდომის გარანტიებს, კონკრეტულ ფორმებს და ვადებს ითვალისწინებს. მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიხედვით, ფიზიკურმა პირებმა უნდა შეძლონ საკუთარი მონაცემების განახლებაში, გასწორებასა და შეცვლაში მიიღონ მონაწილეობა.[22]

აღსანიშნავია, რომ ეროვნული კანონმდებლობა, განსხვავებით ევროკავშირის სამართლისა, შემჭიდროვებულ ვადას ადგენს მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორების, განახლების ან/და შევსების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის

[21] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში, 2025, 100.
[22] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 2024, 9.

დადგენილი) მონაცემები უნდა გასწორდეს, განახლდეს ან/და შეივსოს ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი. გარდა აღნიშნულისა, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებას, უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება იმ ობიექტური გარემოებების შესახებ, რომლებიც შეუძლებელს ხდის აღნიშნული უფლების რეალიზაციას; აგრეთვე – აღნიშნულ მონაცემთა ყველა მიმღების, სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, მონაცემთა განახლებისა და შევსების შესახებ ინფორმირების ვალდებულებას.[23]

2023 წლის საანგარიშო პერიოდში შესწავლილმა საქმეებმა ცხადყო, რომ გამოწვევას წარმოადგენდა კანონით დადგენილ ვადაში და ფორმით მონაცემთა სუბიექტებისათვის ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია როგორც დადგენილ ვადაში მოთხოვნის დაკმაყოფილება, ასევე სრულყოფილი მონაცემების გადაცემა. მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმ პირობებში, როდესაც იგი დაკავშირებულია პირის მიერ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებების რეალიზებასთან, მათ შორის, არასწორი მონაცემების წაშლის, გასწორებისა თუ გასაჩივრების უფლების გამოყენებასთან.[24]

[23] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში, 2025, 211.
[24] იქვე, 56.

2. ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკა

2.1. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ განსაზღვრული უფლება

მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, მოითხოვოს მის შესახებ მცდარი/არაზუსტი მონაცემების დაუყოვნებლივ/გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე გასწორება. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს არასრული მონაცემების შევსება, მათ შორის, დამატებითი ცნობის/დოკუმენტის წარდგენის გზით.[25]

2.2. საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკის ანალიზი

წინამდებარე თავში განხილულია ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლთან დაკავშირებით.

ა) ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

მონაცემთა სუბიექტმა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვა საკუთარი და მისი შვილის საკონტაქტო ინფორმაციის გასწორება.

[25] ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“, მე-16 მუხლი. დამატებით იხ.: Information Commissioner's Office, Right to Rectification, Checklists, <ico.org.uk> [29.06.2025]; European Data Protection Supervisor (EDPS), Guidelines on the Rights of Individuals with regard to the Processing of Personal Data, 2014, <edps.europa.eu> [29.06.2025]; European Data Protection Board (EDPB), The Schengen Information System - a Guide for Exercising Data Subjects' Rights: the Right of Access, Rectification and Erasure, 2023, <edpb.europa.eu> [29.06.2025]; Irish Supervisory Authority for the General Data Protection, Guidance Note: Legal Bases for Processing Personal Data, 2019, <dataprotection.ie> [29.06.2025].

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტის განცხადება გადასცა მესამე პირს, რომელსაც ტექნიკურად უნდა მოეგვარებინა აღნიშნული ხარვეზი. მონაცემთა სუბიექტს მიეწოდა ინფორმაცია და დამადასტურებელი დოკუმენტი განხორციელებული მოქმედებების შესახებ, თუმცა, მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა, რომ ამ დოკუმენტში გარკვეული ინფორმაცია კვლავ არასწორად იყო მითითებული. კერძოდ, მონაცემთა სუბიექტის საცხოვრებელი მისამართი და ელექტრონული ფოსტა.

მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა, რომ არასწორი საკონტაქტო ინფორმაციის მითითების გამო ის ვერ იღებდა მისი მოთხოვნის საპასუხო შეტყობინებებს. მონაცემთა სუბიექტის მტკიცებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ უპასუხა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინა პირველი მიმართვის - 2020 წლის 5 თებერვლის შემდეგ, 2020 წლის 10 თებერვალს, 20 მარტს, 6 და 7 აპრილს.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა განმარტა, რომ მან სათანადოდ და ამომწურავად უპასუხა პირველ მოთხოვნას 2020 წლის 5 თებერვალს. გამომდინარე იქედან, რომ მონაცემთა სუბიექტმა კვლავ გამოხატა უკმაყოფილება საკითხის მიმართ, რომლის მოგვარებაზეც უკვე დაწყებული იყო გარკვეული პროცესები, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ისინი აღარ შეუფასებია, რადგან მოთხოვნები მსგავსი შინაარსის იყო და მონაცემთა სუბიექტი უცვლელი მოთხოვნებით მუდმივად მიმართავდა მას.

ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას ორი წელი დასჭირდა, რაც გამოწვეული იყო საზედამხედველო ორგანოს სამსახურებრივი გადატვირთულობით, თუმცა ეს საქმე არ იყო რთული სამართლებრივი შინაარსის, რის გამოც საზედამხედველო ორგანომ მიუთითა, რომ მონაცემთა სუბიექტისთვის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის დროულ და ეფექტურ მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა.

განხილულ საქმეში კი, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნებს სათანადოდ და საკმარისად არ უპასუხა, რითაც დაარღვია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლის მოთხოვნები.[26] საზედამხედველო ორგანოს მითითებით, მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ და ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიეღო ინფორმაცია მისი მოთხოვნის საპასუხო მოქმედებების ან მოთხოვნის სირთულის გათვალისწინებით დამატებითი ვადის განსაზღვრის საჭიროების შესახებ.

ბ) გერმანიის (ჰესენის მიწის) პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

გერმანიის (ჰესენის მიწის) პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლის საფუძველზე, მოითხოვოს მონაცემთა გასწორება, მაშინაც, თუ მან მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს გამიზნულად მიაწოდა არასწორი ინფორმაცია ელექტრონული ანგარიშის შექმნისას. საზედამხედველო ორგანოს მიერ განხილულ საქმეში, ასაკობრივი შეზღუდვების გვერდის არიდების მიზნით.

მონაცემთა სუბიექტმა შექმნა ანგარიში მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვებგვერდზე. ანგარიშის შექმნისას მას შეეძლო მიეთითებინა, როგორც საკუთარი ისე ნებისმიერი სახელი (შეერჩია ფსევდონიმი). ანგარიშის შექმნისას მან გამოიყენა დედის სახელი, როგორც ანგარიშის მფლობელის სახელწოდება და დაბადების სხვა თარიღი, რამაც

[26] Decision of DPA (Belgium), 140/2022, 2022, < gdprhub.eu> [04.12.2025].

საშუალება მისცა ვებგვერდზე ასაკობრივი შეზღუდვისთვის თავი აერიდებინა.

მას შემდეგ, რაც მონაცემთა სუბიექტმა მიაღწია სრულწლოვანებას, მოითხოვა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან საკუთარი ანგარიშის სახელისა და დაბადების თარიღის გასწორება. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახურმა უარი განაცხადა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც მონაცემთა სუბიექტმა საჩივარი შეიტანა საზედამხედველო ორგანოში. მონაცემთა სუბიექტი განმარტავდა, რომ შეეზღუდა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლება.

საზედამხედველო ორგანომ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და განაცხადა, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის უარი დაბადების თარიღის შეცვლაზე წარმოადგენდა მონაცემთა სუბიექტის უფლების დარღვევას. საზედამხედველო ორგანომ არ დაადგინა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლის დარღვევა ანგარიშის სახელწოდების ცვლილების განუხორციელებლობის საკითხთან დაკავშირებით, რადგან მონაცემთა სუბიექტის დედის სახელი აღქმული იქნა, როგორც ფსევდონიმი, რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო ცალსახად სწორი ან არასწორი ვებგვერდზე მომხმარებლის რეგისტრაციის მიზნებისთვის. ჰესენის მიწის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მისცა გაფრთხილება და დაავალა გაეუმჯობესებინა მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისები მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნებზე უკეთ რეაგირების მიზნით.[27]

[27] Decision of DPA (Germany), 62334 (IMI Case), 2021, <gdprhub.eu> [04.12.2025].

გ) ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

2017 წლის ოქტომბერში მონაცემთა სუბიექტმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და გადავიდა ახალ მისამართზე, რის შესახებაც აცნობა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ კომერციულ ბანკს (“CaixaBank”), თუმცა, 2020 წელს, მონაცემთა სუბიექტმა აღმოაჩინა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მასთან საკომუნიკაციოდ კვლავ იყენებდა მის ძველ მისამართს. იმავე წლის ივლისსა და სექტემბერში, მონაცემთა სუბიექტმა მოითხოვა მისამართის გასწორება. ორივე შემთხვევაში დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტისგან მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია ცვლილების განსახორციელებლად და აცნობა, რომ მოთხოვნა გადაეგზავნა ბანკის სპეციალიზებულ განყოფილებას. შემდგომ მონაცემთა სუბიექტს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან შეტყობინება აღარ მიუღია. მონაცემთა სუბიექტმა საჩივარი შეიტანა ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოში.

საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდა, რომ გარკვეული შეტყობინებები გაიგზავნა ახალ მისამართზე, ზოგი კი - ძველ მისამართზე. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მიუთითა შიდა საკანონმდებლო აქტზე და განაცხადა, რომ პროცედურული დარღვევების გამო ადმინისტრაციული წარმოება უნდა გამოცხადებულიყო ბათილად, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა, არა საზედამხედველო ორგანოს, არამედ მიუკერძოებელ სასამართლოს უნდა განესაზღვრა და უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ შენიშვნა. დამატებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა განაცხადა, რომ მონაცემთა

სუბიექტმა თავისი უფლება უკვე განახორციელა, რაც დასტურდებოდა მასთან განხორციელებული კომუნიკაციით.

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ ეროვნული ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ საფუძველზე საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილი იყო შეესწავლა აღნიშნული შემთხვევა და დარღვევის დადგენისას გამოეყენებინა შესაბამისი სანქცია ჯარიმის სახით, რომელსაც ითვალისწინებდა ძირითადი რეგულაციის პრეამბულის 148-ე პუნქტის საკანონმდებლო ჩანაწერი. საზედამხედველო ორგანომ მხარი არ დაუჭირა საქმის განმხილველ ორგანოთა უფლებამოსილების გამიჯვნას და მიუთითა, რომ აღნიშნული შემთხვევა სასამართლოს განსჯადი არ იყო. საზედამხედველო ორგანომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დაადგინა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ფლობდა რა მონაცემთა სუბიექტის ახალი მისამართის შესახებ ინფორმაციას, ის მაინც იყენებდა ძველ მისამართს მისთვის შეტყობინებების გასაგზავნად, რითიც დაუსაბუთებლად არიდებდა თავს მონაცემთა სუბიექტის მიერ რამდენჯერმე წარდგენილი მოთხოვნის განხილვას. ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლის დარღვევისთვის დაჯარიმდა 25 000 ევროს ოდენობით.[28]

[28] Decision of DPA (Spain), PS/00183/2022, 2022, <gdprhub.eu> [04.12.2025].

დ) ესტონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

მონაცემთა სუბიექტი იყო სამგზავრო აპლიკაცია “Bolt”-ის მომხმარებელი. მან სცადა დამოუკიდებლად აპლიკაციაში რეგისტრირებული ტელეფონის ნომრის შეცვლა, მაგრამ აპლიკაცია ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა. მონაცემთა სუბიექტი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აპლიკაციის პროვაიდერს (დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს) დაუკავშირდა და ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლის შესაბამისად ტელეფონის ნომრის გასწორება მოითხოვა. მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნაზე პასუხი არ მიუღია.

ესტონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ საქმის შესწავლის პროცესში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა განმარტა, რომ მომხმარებლის ტელეფონის ნომერი აპლიკაციის სისტემაში უნიკალურ იდენტიფიკატორს წარმოადგენდა. შესაბამისად, შეუძლებელი იყო პირველადი რეგისტრაციისას გამოყენებული ტელეფონის ნომრის შეცვლა. მათივე განმარტებით, მონაცემის ცვლილების ერთადერთ გამოსავალს მოქმედი ანგარიშის წაშლა და ახლის შექმნა წარმოადგენდა.

საზედამხედველო ორგანომ მონაცემთა სუბიექტის საჩივარი დააკმაყოფილა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს სისტემის განახლება დაავალა, რათა სამომავლოდ, აპლიკაციის მომხმარებლებს ტელეფონის ნომრის ცვლილების შესაძლებლობა ჰქონოდათ. გარდა ამისა, საზედამხედველო ორგანომ კომპანიას მონაცემთა სუბიექტების შეკითხვებზე დროული რეაგირების რეკომენდაცია მისცა.

გაცემული დავალებების შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა განაახლა ვებგვერდის პროგრამული მხარე და მონაცემთა სუბიექტებთან აქტიური კომუნიკაციის ახალი მექანიზმი დანერგა, თუმცა აღნიშნული განახორციელა დავალების შესასრულებლად განსაზღვრული

ვადის დარღვევით, რის გამოც საზედამხედველო ორგანომ კვლავ განაახლა საქმის შესწავლა გაცემული დავალებების შესრულების კონტროლის ნაწილში.

საზედამხედველო ორგანოს მითითებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტს გასწორების მოთხოვნაზე პასუხი დაუყოვნებლივ არ აცნობა. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას პასუხი გაეცა მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ხელახალი მითითების შემდეგ. თავდაპირველი დავალების შემდეგაც, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტისთვის პასუხის გაცემა დაუსაბუთებლად დააყოვნა.

გამოიკვეთა, რომ ზოგადი პროგრამული განახლების ფონზე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ დანერგა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. არ შეიმუშავა მექანიზმი, რათა თავიდან აეცილებინა მესამე მხარისათვის მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომა. აპლიკაციაში რეგისტრირებული ტელეფონის ნომრის ახალ მფლობელს შესაძლებლობა ჰქონდა წინა მფლობელის მიერ შექმნილ ანგარიშზე მოეპოვებინა თავისუფალი წვდომა, აღნიშნული კი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ცალსახად უნდა შეეზღუდა აპლიკაციის პროგრამული განახლების პროცესში.[29]

[29] Decision of DPA (Estonia), 2024, <gdprhub.eu> [04.12.2025].

ე) იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

მონაცემთა სუბიექტმა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, ჯანდაცვის დაწესებულებას, მიმართა საკონტაქტო ელექტრონული მისამართის გასწორების მოთხოვნით, რადგან შენიშნა, რომ ციფრულ ანკეტაში არასწორი მისამართი იყო მითითებული. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას არ უპასუხა, რის გამოც მოთხოვნის წარდგენიდან 150 დღის შემდეგ, მან მიმართა იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს. მონაცემთა სუბიექტი ამტკიცებდა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მის მოთხოვნაზე რეაგირება არ მოახდინა და დაარღვია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთი თვის ვადა. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა განმარტა, რომ მან დროულად გაასწორა მონაცემთა სუბიექტის მიერ მითითებული ხარვეზი, თუმცა მისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა დააყოვნა მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნის სპეციალური პლატფორმის ნაცვლად, შეტყობინების სხვა საშუალებით - საფოსტო ელექტრონული მომსახურებით გაგზავნამ (“Posta Elettronica Certificata” – “PEC”).

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მიუთითებდა „მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ“ ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭოს (“EPDB”) 01/2022 სახელმძღვანელო რეკომენდაციის 54-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი არ არის ვალდებული იმოქმედოს შემთხვევით ან არასწორ ელექტრონულ მისამართზე გაგზავნილ მოთხოვნაზე, რომელიც პირდაპირ არ არის მიწოდებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ, ან ნებისმიერ საკომუნიკაციო არხზე, რომელიც აშკარად არ არის განკუთვნილი მონაცემთა სუბიექტის უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნების მისაღებად, თუ დამუშავებისთვის

პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყო შესაბამისი საკომუნიკაციო არხი, რომლის გამოყენებაც მონაცემთა სუბიექტს შეუძლია.

იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ „შემთხვევითი ან არასწორი ელექტრონული ფოსტის მისამართი“ არ არის მონაცემთა სუბიექტის მიერ გამოყენებული სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელიც სპეციალურად არ იყო განკუთვნილი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მისაღებად. თუ მონაცემთა სუბიექტი მოთხოვნას წარადგენს საკომუნიკაციო არხის გამოყენებით, რომელიც განსხვავდება სასურველი არხისგან, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა დაამუშაოს ასეთი მოთხოვნა. საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ საკომუნიკაციო საშუალება - “Posta Elettronica Certificata”-ს მისამართი არ შეიძლება ჩაითვალოს „შემთხვევით ან არასწორ ელექტრონული ფოსტის მისამართად“. ამის საპირისპიროდ, ამ მისამართზე ელექტრონული ფოსტის მიღების შემდეგ, რომელიც სამართლებრივი მიზნებისთვისაც კი გამოიყენება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაუყოვნებლივ უნდა ეპასუხა მოთხოვნაზე და საჭიროების შემთხვევაში პროცესებში ჩაერთო საკუთარი დაწესებულების პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-16 მუხლის დარღვევისთვის, დაჯარიმდა 4500 ევროს ოდენობით.[30]

[30] Decision of DPA (Italy), 10036837, 2024, <gdprhub.eu> [04.12.2025].

3) მალტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

2016 წელს მონაცემთა სუბიექტმა მალტის ერთ-ერთ სახელმწიფო ორგანოს (შემდგომში- დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს) მიაწოდა არასწორი ინფორმაცია მეუღლის ვინაობის და ქორწინების თარიღის შესახებ. 2022 წელს მონაცემთა სუბიექტმა მოითხოვა მეუღლის სახელისა და ქორწინების თარიღის შესწორება, რაც უარყოფილ იქნა. მონაცემთა სუბიექტმა კვლავ სცადა აეხსნა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის არსებული მდგომარეობა და წარადგინა ქორწინების მოწმობა, რომელშიც მითითებული იყო მეუღლისა და ქორწინების თარიღის ოფიციალური მონაცემები. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა კვლავ უარყო მოთხოვნა და განმარტა, რომ არსებითად სწორი მონაცემების შევსება მონაცემთა სუბიექტის ვალდებულება იყო. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონდა რაიმე იურიდიული ვალდებულება შეეცვალა მონაცემები, რადგან მონაცემთა სუბიექტი მოითხოვდა მეუღლის პირადი მონაცემების სრულ ცვლილებას და არა ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.

მონაცემთა სუბიექტმა მალტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საჩივრით მიმართა და განაცხადა, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის უარი მისი პერსონალური მონაცემების შესწორებაზე არღვევდა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას.

საზედამხედველო ორგანომ დააკმაყოფილა საჩივარი და დაავალა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს 20 დღის ვადაში გაესწორებინა სარეგისტრაციო ჩანაწერი. საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ არ განსაზღვრავს ტერმინებს თუ რა არის „არაზუსტი“ და „არასრული“ მონაცემი, თუმცა, საზედამხედველო ორგანომ მე-16 მუხლი ფართო გაგებით განმარტა,

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ სიზუსტისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებთან ერთად, რომლის მიხედვით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია მონაცემების განახლებასა და ამ ვალდებულების შესრულებაზე. შედეგად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უნდა ჰქონდეს შემუშავებული იმგვარი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს განაცხადის წარდგენისას მონაცემთა სიზუსტის გადამოწმებას. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი კანონით ვალდებული იყო, საჭირო შესწორებები შეეტანა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მონაცემთა სუბიექტმა საკმარისი მტკიცებულებები წარადგინა საკუთარი პერსონალური მონაცემების სიზუსტის გადასამოწმებლად.[31]

ზ) ნორვეგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

მონაცეთა სუბიექტი, რომელიც წარმოშობით ნიდერლანდებიდან იყო, საცხოვრებლად ნორვეგიაში გადავიდა და “Sbanken ASA”-ს საბანკო მომსახურების მიღება დაიწყო. რამდენიმე წლის განმავლობაში მონაცემთა სუბიექტი ბანკთან (შემდგომში - დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან) მისი სახელის მართლწერასთან დაკავშირებით აქტიურ მიმოწერას აწარმოებდა. ბანკი მისი სახელის მითითებისას არასწორად იყენებდა პირველი ასობგერის ფორმატს, კერძოდ, უთითებდა “Van Navnesen” – “van Navnesen”-ის ნაცვლად.

ბანკმა განაცხადა, რომ მისი დამუშავების სისტემა მომხმარებელთა ინფორმაციას მოქალაქეთა ეროვნული რეესტრიდან იღებდა, ხოლო ეროვნულ რეესტრში ყველა სახელი დიდი ასობგერით რეგისტრირდებოდა. მათივე

[31] Decision of DPA (Malta), CDP COMP 583, 2022, <gdprhub.eu> [04.12.2025].

განმარტებით, პროგრამა ავტომატურად ცვლიდა სახელების მართლწერას დიდიდან პატარა ასობგერაზე, გარდა პირველი ასობგერისა, რომელიც ტრადიციულად დიდი ასობგერით იწერება. ამიტომ, სახელი - "VAN NAVNESEN" პროგრამაში იცვლებოდა "Van Navnesen"-ით. ამ გადაწყვეტილების მიზეზს ის წარმოადგენდა, რომ მომხმარებელთა უმეტესობა ყველა სახელს ნორვეგიული დასახელების ტრადიციის შესაბამისად, პირველი დიდი ასობგერით წერდა.

ვინაიდან მონაცემთა სუბიექტმა ვერ შეძლო თავისი სახელის გასწორება, საჩივრით მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს. მონაცემთა სუბიექტმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლი არ მოითხოვს გასაწორებელი უზუსტობის განსაკუთრებულ ხარისხს და არ იძლევა შესაძლებლობას, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვისას გამოყენებულ იქნას რისკებზე დაფუძნებული შემზღუდველი სპეციალური მიდგომა. საზედამხედველო ორგანომ ასევე ხაზი გაუსვა იმ პერსონალური მონაცემების ობიექტურ ბუნებას, რომელთა გასწორებაც მონაცემთა სუბიექტმა მოითხოვა და მიუთითა, რომ მსგავსი მონაცემები (როგორიცაა ასაკი, მისამართი, სახელი ან სხვა ობიექტური სტანდარტის მქონე ინფორმაცია) უნდა გასწორდეს არსებითად სწორი მონაცემით. გარდა ამისა, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ არასაკმარისად მიიჩნია ბანკის წინადადება, რაც მონაცემთა სუბიექტის სახელის გასწორებას ონლაინ საბანკო აპლიკაციაში ითვალისწინებდა, მაგრამ არ იძლეოდა ბანკის ძირითად სისტემებში მისი შეცვლის შესაძლებლობას.[32]

[32] Decision of DPA (Norway), 20/01868, 2020, <gdprhub.eu> [04.12.2025].

თ) საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

მონაცემთა სუბიექტმა ელექტროენერგიის კომპანიას (შემდგომში - დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს) მიმართა მისი პერსონალური მონაცემების გასწორების მოთხოვნით და აღნიშნა, რომ მისი მონაცემები არასწორად იყო დაკავშირებული სხვა სუბიექტის საგადასახადო ვალდებულებებთან. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა დააკმაყოფილა და აღნიშნულის შესახებ შეატყობინა მას, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში მონაცემთა სუბიექტი კვლავ იღებდა სატელეფონო შეტყობინებებს იურიდიული და საფინანსო სააგენტოებიდან იმ ქონების გადაუხდელ ანგარიშებთან დაკავშირებით, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა, არც მის საკუთრებაში იყო და არც მის მიერ იყო გაქირავებული. მონაცემთა სუბიექტმა წარადგინა კიდევ ერთი მოთხოვნა - ახლა უკვე მონაცემთა წაშლის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ისევ დაადასტურა მონაცემთა წაშლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, მონაცემთა სუბიექტი კვლავ იღებდა შემაწუხებელ შეტყობინებებს გადაუხდელ ანგარიშებთან დაკავშირებით. დამატებით, ათენის მუნიციპალიტეტისგან, რომელმაც მონაცემები ელექტრონერგიის კომპანიისგან მიიღო.

მონაცემთა სუბიექტმა საჩივარი შეიტანა საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იურიდიულმა და საფინანსო სააგენტოებმა და ათენის მუნიციპალიტეტმა არ დააზუსტეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან საგადასახადო შეტყობინებების ადრესატის ვინაობა, ხოლო დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ გადაამოწმა ანგარიშების კონკრეტული პირისთვის კუთვნილების საკითხი, შემდგომში არ განაახლა მონაცემები. მონაცემთა სუბიექტის აზრით, ეს ადასტურებდა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი

პირის მხრიდან შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების არარსებობას.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მითითებით პრობლემა წარმოშვა განმცხადებლების მონაცემების სათანადო ტექნიკური საშუალებით განახლების შეუძლებლობამ და მას არ ჰქონია სხვა რაიმე მიზეზი, რომ არ განეახლებინა მონაცემები. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, იურიდიული და საფინანსო სააგენტოები მოქმედებდნენ მისი სახელით, შესაბამისად, ხარვეზმა გავლენა მოახდინა მათ ქმედებებზე, ხოლო ათენის მუნიციპალიტეტისთვის მონაცემთა გაზიარება გამომდინარეობდა სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნიდან, რადგან მუნიციპალიტეტმა ოფიციალური წერილით მოითხოვა მონაცემთა გაზიარება. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ვალდებული არ იყვნენ პასუხი გაეცათ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნებისთვის, რადგან მონაცემთა სუბიექტის მონაცემები კანონის დაცვით და კანონით დადგენილი მოთხოვნის შესასრულებლად მიიღეს გადაუხდელი ქონებისა და მუნიციპალური გადასახადების დადგენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საბერძნეთში ელექტროენერგიის გადასახადები ხშირად მოიცავს სხვადასხვა გადასახადს, როგორიცაა საბერძნეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რადიო და ტელევიზიის სააბონენტო გადასახადი, მუნიციპალური გადასახადები და უძრავი ქონების გადასახადი. გადასახადის გადაუხდელობამ შეიძლება გამოიწვიოს უძრავი ქონების ნასყიდობის გართულება, რადგან ასეთ დროს, როგორც წესი, საჭიროა საგადასახადო დავალიანების არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საზედამხედველო ორგანომ დაადასტურა, რომ ელექტროენერგიის კომპანია იყო დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, ხოლო მისი სახელით მოქმედი იურიდიული და საფინანსო სააგენტოები დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები. გამომდინარე იქიდან, რომ ათენის მუნიციპალიტეტმა პერსონალური

მონაცემები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მიიღო საკუთარი მოსაკრებლების დასადგენად, იგი მოქმედებდა განსხვავებული მიზნით, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი.

საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით, ელექტროენერგიის კომპანიას, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაეკისრა ჯარიმა:

7500 ევროს ოდენობით - ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-16 მუხლის დარღვევისთვის - მონაცემთა გასწორების უფლების დარღვევის ნაწილში.

7500 ევროს ოდენობით - ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-12 მუხლის მე-2, მე-3 და მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტების დარღვევისთვის - მონაცემთა წაშლის უფლების დარღვევის ნაწილში.

10 000 ევროს ოდენობით -ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების დარღვევისთვის - მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და სიზუსტის პრინციპების დარღვევის ნაწილში.

ათენის მუნიციპალიტეტს, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაეკისრა ჯარიმა 3000 ევროს ოდენობით. საზედამხედველო ორგანოს მითითებით, მუნიციპალიტეტმა დაარღვია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი, როდესაც მონაცემთა სუბიექტს ელექტრონული ფორმით არ აცნობა ელექტრონული ფოსტით წარდგენილ მოთხოვნებზე რეაგირების მიზნით განხორციელებული მოქმედებების შესახებ.[33]

[33] Decision of DPA (Greece), 26/2024, 2024, <gdprhub.eu> [04.12.2025].

ი) საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

2018-2019 წლებში საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ მიიღო 16 საჩივარი, რომლებშიც მითითებული იყო, რომ მომხმარებლებს (შემდგომში - მონაცემთა სუბიექტებს) სირთულეები ექმნებოდათ ერთ-ერთ ვებგვერდზე (*annuairefrancais.fr*) საკუთარი პერსონალური მონაცემების გასწორების მოთხოვნის წარდგენისას. ვებგვერდი შეიცავდა საჯარო მონაცემთა ბაზიდან მიღებულ ინფორმაციას საფრანგეთში რეგისტრირებული კომპანიების შესახებ. ვებგვერდის ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი (შემდგომში - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი). ვებგვერდზე რეგისტრაციისას მომხმარებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია კომპანიების შესახებ და გამოეწერათ მათი სიახლეები თუ შეთავაზებები. საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ აღნიშნულ ვებგვერდზე მონაცემთა სუბიექტების მიერ წარდგენილი მოთხოვნების დამუშავება არ შეესაბამებოდა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლის მოთხოვნებს. საქმის შესწავლის შემდეგ, დადასტურდა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ერთი წლის დაგვიანებით უპასუხა მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნებს საკონტაქტო მისამართების გასწორების თაობაზე. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი არ აღრიცხავდა მასთან შემოსულ მოთხოვნებს და ხშირ შემთხვევაში არ ან დაგვიანებით რეაგირებდა მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნებზე.

საზედამხედველო ორგანომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი დააჯარიმა 3000 ევროს ოდენობით და დაავალა ორი თვის განმავლობაში მონაცემთა დამუშავების არსებული წესები შესაბამისობაში მოეყვანა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციასთან“, აგრეთვე,

განეხორციელებინა მონაცემთა სუბიექტებისგან მიღებული შეტყობინებებისა და საპასუხო მოქმედებების ზუსტი აღწერა.[34]

კ) უნგრეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

მონაცემების გასწორების მოთხოვნის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მონაცემთა სუბიექტი კვლავ იღებდა საინფორმაციო ბიულეტენს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან, საკუთარ ძველ ელექტრონულ მისამართზე. მონაცემთა სუბიექტის განმარტებით, მაშინაც კი, როდესაც მისი ელექტრონული მისამართი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის საინფორმაციო ბაზაში შეიცვალა, ის კვლავ იღებდა საინფორმაციო ბიულეტენს. საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაარღვია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლი, ვინაიდან არ შეასრულა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა პერსონალურ მონაცემთა გასწორებაზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული ფოსტის მისამართი გასწორდა საზედამხედველო ორგანოს მითითების შედეგად, დამატებითი ზომების მიღება საჭირო არ გამხდარა.[35]

ლ) ფინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

არასრულწლოვნის მშობელმა, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა საკუთარი შვილის კანონიერი მეურვეობა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს წარუდგინა არასრულწლოვნის მონაცემთა გასწორების მოთხოვნა და

[34] Decision of DPA (France), SAN-2021-014, 2021, <gdprhub.eu> [04.12.2025].
[35] Decision of DPA (Hungary), NAIH/2020/3479, <gdprhub.eu> [04.12.2025].

მიუთითა, რომ მონაცემები არ იყო ზუსტი. მშობელმა განცხადებას თან დაურთო სასამართლოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ მას ჰქონდა არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემებზე - დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან დაცულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება. მიუხედავად ამისა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უარი განაცხადა არასრულწლოვნის მონაცემების გასწორებაზე. განმცხადებელმა მიმართა ფინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.

ფინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მშობელს, რომელიც არ არის არასრულწლოვანი ბავშვის კანონიერი მეურვე (განხილულ შემთხვევაში ერთ-ერთ მშობელს შეჩერებული ჰქონდა მეურვეობის უფლება), არ შეუძლია არასრულწლოვნის სახელით მოითხოვოს ბავშვთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების გასწორება (მაშინაც კი, თუ სასამართლოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით მას მინიჭებული აქვს მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა). შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ არასრულწლოვნის სახელით მონაცემთა სუბიექტის უფლებები უნდა განხორციელდეს აღნიშნული საგამონაკლისო წესის გათვალისწინებით, რომელსაც საკანონმდებლო დონეზე არეგულირებდა „ბავშვის მეურვეობის შესახებ“ და „ბავშვთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონის შესაბამისი მუხლები. მართალია, სასამართლოს შეუძლია მშობელს, რომელიც არ არის კანონიერი მეურვე, მიანიჭოს არასრულწლოვნის მონაცემებზე წვდომის უფლება, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში მას შეეძლება მონაცემთა სუბიექტის სახელით სხვა უფლებით სარგებლობა - ამ შემთხვევაში მონაცემთა გასწორების უფლება. საზედამხედველო ორგანომ განამტკიცა ის შეხედულება, რომ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ გათვალისწინებული უფლებების განხორციელება არასრულწლოვნის

სახელით მხოლოდ მისი კანონიერი მეურვის მიერ არის დასაშვები. მიუხედავად იმისა, რომ მშობელს ჰქონდა სასამართლოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა არასრულწლოვანი მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებას, ეს უფლება არ ვრცელდებოდა აღნიშნული პერსონალური მონაცემების გასწორებაზე და მას ჰქონდა მხოლოდ საპროცესო მნიშვნელობა.

ფინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა უფლებამოსილება, არასრულწლოვანი მონაცემთა სუბიექტის სახელით წარედგინა მონაცემთა გასწორების მოთხოვნა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის.[36]

მ) შვედეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, კომერციული ბანკი ("Klarna Bank AB") შვედური ფინანსური ტექნოლოგიური კომპანიაა, რომელიც ონლაინ ფინანსურ მომსახურებით არის დაკავებული. კომპანია ელექტრონული კომერციის ინდუსტრიისთვის გადახდის დამუშავების მომსახურებას, მოთხოვნებისა და მომხმარებელთა გადახდების მართვას უზრუნველყოფს. კომპანია - „იყიდე ახლა, გადაიხადე მოგვიანებით“ სერვისის მიმწოდებელია.

"Klarna Bank AB"-ის მომხმარებელი 2020 წლის ივნისში დაუკავშირდა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, რათა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლის შესაბამისად, რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის მისამართი შეესწორებინა.

[36] Decision of DPA (Finland), 9492/153/22, 2022, <gdprhub.eu> [04.12.2025].

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მომხმარებელთა მომსახურების სამსახურმა თავდაპირველად მონაცემთა სუბიექტს უპასუხა, რომ ელექტრონული ფოსტის მისამართის შეცვლა ტექნიკურად შეუძლებელი იყო, რადგან ის მათ საკრედიტო ბარათთან იყო დაკავშირებული. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირმა მოუწოდა მას, ელექტრონული ფოსტის მისამართის შესაცვლელად ახალი ანგარიში შეექმნა, თუმცა ახალი ანგარიში გავლენას იქონიებდა მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო მდგომარეობაზე. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა განაცხადა, რომ ელექტრონული ფოსტის მისამართები გამოიყენებოდა, როგორც პირადი იდენტიფიკატორები და ვერიფიკაციის პროცესის ნაწილი. სწორედ ამიტომ, თუ მონაცემთა სუბიექტს სურდა ელექტრონული ფოსტის მისამართის განახლება, უნდა შექმნილიყო ახალი ანგარიში, რომელიც ახალ ელექტრონულ ფოსტასთან იქნებოდა დაკავშირებული.

2020 წლის ივლისში, მონაცემთა სუბიექტმა მოითხოვა მისი პერსონალური მონაცემების წაშლა, მათ შორის, მიმდინარე ანგარიშის განადგურება, რადგან მონაცემთა სუბიექტს ანგარიშზე კვლავ ჰქონდა ღია ინვოისები. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა წაშალა ანგარიში და დახურულ ანგარიშს დაამატა ახალი ელექტრონული ფოსტა, გადაუხდელი ინვოისებისთვის შიდა მოხმარების მითითებით. მონაცემთა სუბიექტმა საზედამხედველო ორგანოს მიმართა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-16 მუხლით გათვალისწინებული გასწორების უფლების არასათანადო შესრულების შესახებ.

შვედეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-16 პუნქტის დარღვევა. საზედამხედველო ორგანოს განმარტებით მონაცემთა სუბიექტს არ მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა

ძირითადი რეგულაციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გასწორების უფლებით, რადგან დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ჰქონდა სისტემა, რომელიც აიძულებდა მონაცემთა სუბიექტებს არსებულ ანგარიშზე ცვლილების განსახორციელებლად შეექმნათ ახალი ანგარიში, რაც უარყოფითად მოქმედებდა მათ საკრედიტო რეიტინგზე.[37]

[37] Decision of DPA (Sweden), IMY 2023-8336, 2024, <gdprhub.eu> [04.12.2025].

3. ზოგადი რეკომენდაციები

მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარი პერსონალური მონაცემების გასწორების, განახლებისა და შევსების უფლების უზრუნველსაყოფად:

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნებზე საპასუხო წესი;
- აღნიშნული უფლების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეიმუშავოს მისთვის მიმართვის გამარტივებული ფორმა, კერძოდ, თუ როგორ უნდა დაუკავშირდეს მონაცემთა სუბიექტი აღნიშნული უფლების განსახორციელებლად;
- მონაცემთა ეფექტიანი მართვის მიზნით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა განაახლოს მომსახურების ელექტრონული სისტემა, რათა სწრაფად განსაზღვროს დამუშავებული მონაცემები, მოიძიოს და შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაასწოროს, განაახლოს და შეავსოს ინფორმაცია, რასაც მოითხოვს მონაცემთა სუბიექტი;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ნათლად, გასაგებად და შესაბამისი ფორმით უნდა აცნობოს ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს დამუშავებული პერსონალური მონაცემების შესახებ, მათ შორის გასწორებული, განახლებული და შევსებული მონაცემების თაობაზე;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას კანონით დადგენილ ვადაში უნდა უპასუხოს. თუ საჭიროა დამატებითი დრო პასუხისთვის ან თუ ვერ ასრულებს მოთხოვნას, ამის შესახებ აცნობოს ასევე კანონით დადგენილ ვადაში;
- მონაცემთა სხვა პირებზე გადაცემის მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა გადაწყვეტილების მიღებამდე

უნდა აცნობოს მონაცემთა სუბიექტს აღნიშნული მოთხოვნის შესახებ და საჭიროებისამებრ, დაელოდოს პასუხს;

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა აღრიცხოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნები და მიღებული თუ გაგზავნილი შეტყობინებები, მოთხოვნის შესრულებაზე გაცემული უარის რაოდენობა და შესაბამისი დასაბუთება;
- მონაცემთა სუბიექტს უსაფუძვლოდ არ უნდა ეთქვას უარი მისი მონაცემების გასწორების, განახლებისა და შევსების მოთხოვნაზე, იმ საფუძვლით, რომ მისი მოთხოვნა ერთხელ უკვე დაკმაყოფილდა;
- მონაცემთა სუბიექტის უფლებები არ უნდა შეიზღუდოს მისი ინფორმირების გარეშე და მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს ინფორმაცია მისი მონაცემების გასწორების, განახლებისა და შევსების იმჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023.
2. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“, 2018.
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში, 2025.
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 2024.
5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, სახელმძღვანელო რეკომენდაციები მცირე და საშუალო ზომის მეწარმე სუბიექტებისათვის, 2024, <pdps.ge/ka> [04.12.2025].
6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, სახელმძღვანელო რეკომენდაცია მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების შესახებ, 2025, <pdps.ge> [04.12.2025].
7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა - თეორია და პრაქტიკა, 2024, <pdps.ge> [04.12.2025].
8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაცია მონაცემთა გადატანის უფლების შესახებ, 2024, <pdps.ge> [04.12.2025].
9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებებისა და პროფაილინგის შესახებ, 2024, <pdps.ge> [04.12.2025];
10. 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი, სახელმძღვანელო რეკომენდაცია ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისა და პროფაილინგის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიზნებისთვის, 2018, თარგმანი, <pdps.ge> [04.12.2025].

11. European Data Protection Supervisor (EDPS), Guidelines on the Rights of Individuals with regard to the Processing of Personal Data, 2014, <edps.europa.eu> [04.12.2025].
12. European Data Protection Board (EDPB), The Schengen Information System - a Guide for Exercising Data Subjects' Rights: the Right of Access, Rectification and Erasure, 2023, <edpb.europa.eu> [04.12.2025].
13. Information Commissioner's Office, Right to Rectification, Checklists, <ico.org.uk> [04.12.2025].
14. Irish Supervisory Authority for the General Data Protection, Guidance Note: Legal Bases for Processing Personal Data, 2019, <dataprotection.ie> [04.12.2025].
15. Decision of DPA (Estonia), 2024, <gdprhub.eu> [04.12.2025].
16. Decision of DPA (Italy), 10036837, 2024, <gdprhub.eu> [04.12.2025].
17. Decision of DPA (Greece), 26/2024, 2024, <gdprhub.eu> [04.12.2025].
18. Decision of DPA (Sweden), IMY 2023-8336, 2024, <gdprhub.eu> [04.12.2025].
19. Decision of DPA (Belgium), 140/2022, 2022, <gdprhub.eu> [04.12.2025].
20. Decision of DPA (Finland), 9492/153/22, 2022, <gdprhub.eu> [04.12.2025].
21. Decision of DPA (Malta), CDP COMP 583, 2022, <gdprhub.eu> [04.12.2025].
22. Decision of DPA (Spain), PS/00183/2022, 2022, <gdprhub.eu> [04.12.2025].
23. Decision of DPA (Germany), 62334 (IMI Case), 2021, <gdprhub.eu> [04.12.2025].
24. Decision of DPA (France), SAN-2021-014, 2021, <gdprhub.eu> [04.12.2025].
25. Decision of DPA (Hungary), NAIH/2020/3479, 2020, <gdprhub.eu> [04.12.2025].
26. Decision of DPA (Norway), 20/01868, 2020, <gdprhub.eu> [04.12.2025].

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2025

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის №7, 0105
ბათუმი, ბაქოს ქუჩა, №48, 6010
www.pdps.ge
ტელ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge